სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**სოციალური მუშაობა** **Social Work**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**პროგრამის პირველი ნაწილის დასრულების შემდგომ:** სოციალური მუშაობის მაგისტრი Master of Social Work **პროგრამის მეორე ნაწილის დასრულების შემდგომ:** კვლევის მაგისტრი სოციალურ მუშაობაში Master of Research in Social Work
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ორი ნაწილისაგან (60+60 (ECTS):** პირველი ნაწილი: კრედიტების მოცულობა - 60 კრედიტი (ECTS), მათ შორის: • სავალდებულო სასწავლო კურსები: 30 კრედიტი (ECTs) • არჩევითი სასწავლო კურსები: 25 კრედიტი (ECTs) • თავისუფალი კრედიტები: 5 კრედიტი (ECTs) სწავლის ხანგრძლივობა: არანაკლებ ორი სემესტრისა. მეორე ნაწილი: კრედიტების მოცულობა - 60 კრედიტი (ECTS), მათ შორის: • სავალდებულო სასწავლო კურსები: 50 კრედიტი (ECTs) • არჩევითი სასწავლო კურსები: 5 კრედიტი (ECTs) • თავისუფალი კრედიტები: 5 კრედიტი (ECTs) • საკვალიფიკაციო ნაშრომი: 30 კრედიტი (ECTs) სწავლის ხანგრძლივობა: არანაკლებ ორი სემესტრისა.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი	ნინო შატბერაშვილი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მაგისტრატურის საგანამანათლებლო პროგრამის პირველ ნაწილზე (60 კრედიტიანი) ჩარიცხვის მოთხოვნა: • ბაკალავრის ხარისხი; • საერთო სამაგისტრო გამოცდა; • გამოცდა სპეციალობაში (ესსე);

	• გასაუბრება სპეციალობასა და უცხო ენაში. გამოცდა სპეციალობაში ორი კომპონენტისაგან შედგება: წერითი გამოცდა და გასაუბრება. წერითი გამოცდა შეადგენს საბოლოო შეფასების 40%, ხოლო გასაუბრება 60%. პირველ ეტაპზე სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველები წერენ ესსეს საგამოცდო კომისიის მიერ განსაზღვრულ თემაზე. წარმოდგენილი ესსეს მიხედვით ფასდება სწავლის მსურველთა ცოდნის დონე სოციალური მუშაკის პროფესიულ როლზე მიმდინარე სოციალურ მოვლენებში. ესსე შეადგენს საბოლოო შეფასების 40 პროცენტს. ის ფასდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით: ▪ პროფესიული როლის გააზრება- 20 ქულა ▪ არგუმენტაციის უნარი - 10 ქულა ▪ კრიტიკული ანალიზის უნარი - 10 ქულა ესსეს მოცულობა უნდა იყოს არაუმეტეს 3 გვერდი. მეორე ეტაპზე სტუდენტები გაივლიან გასაუბრებას სპეციალობასა და უცხო ენაში პროგრამის ხელმძღვანელისა და მიმართულების აკადემიურ პერსონალისაგან დაკომპლექტებული კომისიის წინაშე. გასაუბრება შეადგენს საბოლოო შეფასების 60% (აქედან 40% სპეციალობაში, 20% კი უცხო ენის ცოდნა). გასაუბრებაზე სტუდენტი ასევე განიხილავს სასწავლო მასალიდან/სასწავლო მასალის სირთულის ტექსტს უცხო ენაზე, ამ მიმართულებით მისი კომპეტენციების შეფასების მიზნით (პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა არანაკლებ B2 დონე). მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილზე (60 კრედიტიანი) ჩარიცხვის უფლება აქვს სოციალური მუშაობის მაგისტრის ხარისხის მქონე პირს (პროგრამის პირველი ნაწილის დასრულებით). ამ ნაწილზე დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის - სოციალური მუშაობა (პირველი ნაწილი) მიზანია:**

	– მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სოციალური მუშაკები, რომლებიც პროფესიულ ეთიკასა და ღირებულებებზე, პროფესიულ და აკადემიურ სტანდარტებზე დაყრდნობითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით განახორციელებენ საქმიანობას; – მოამზადოს სტუდენტები ღრმა პროფესიული ცოდნით, უნარ-ჩვევებითა და კრიტიკული რეფლექსიის უნარით უშუალო პრაქტიკის, სოციალური მომსახურებების, პროგრამების განხორციელების და პოლიტიკის ფორმირების პროცესში მონაწილეობისთვის; – სიღრმისეულად და სისტემურად შეასწავლოს სტუდენტებს სოციალური სისტემების ფუნქციონირების სპეციფიკა და მათი ეფექტიანობის ზრდისათვის საჭირო მექანიზმები, რომელსაც ისინი გამოიყენებენ ცალკეულადან/და მომიჯნავე დარგებში არსებულ ცოდნასთან კონსოლიდაციაში. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის - სოციალური მუშაობა (მეორე ნაწილი) მიზანია:** – მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სოციალური მუშაკები, რომლებიც პროფესიულ ეთიკასა და ღირებულებებზე, პროფესიულ და აკადემიურ სტანდარტებზე დაყრდნობითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით განახორციელებენ პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობას; – დაახელოვნოს სტუდენტები სოციალური მუშაობის კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებაში; – სიღრმისეულად და სისტემურად შეასწავლოს სტუდენტებს სოციალური სისტემების ფუნქციონირების სპეციფიკა და მათი ეფექტიანობის ზრდისათვის საჭირო მექანიზმები, რომელსაც ისინი გამოიყენებენ

	ცალკეულადან/და მომიჯნავე დარგებში არსებულ ცოდნასთან და კვლევასთან კონსოლიდაციაში.
სწავლის შედეგები	
ა) ცოდნა და გაცნობიერება *ბ) უნარები* *გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სოციალური მუშაობა (პირველი ნაწილი) კურსდამთავრებული:** *ა) ცოდნა და გაცნობიერება* – კრიტიკულად აფასებს სოციალურ, პოლიტიკურ კონტექსტს/პროგრამებს და ირჩევენ შესაბამის ჩარევას; *ბ) უნარები* – სიღრმისეულ ცოდნასა და ანალიზზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად ახორციელებს ჰოლისტურ პრაქტიკას სოციალური მუშაობის მოდელებისა და მეთოდების გამოყენებით; *გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა* – მაღალი პროფესიონალიზმის დემონსტრირებით ახორციელებს სოციალურ მუშაობას პროფესიული ეთიკის ნორმებზე დაყრდნობითა და პიროვნული მრავალფეროვნებების გათვალისწინებით როგორც მონოდისციპლინურ, ასევე მულტიდისციპლინურ ფორმატში; – წარმართავს დისკუსიას, წარადგენენ საკუთარ მოსაზრებებს საჯაროდ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაყრდნობით. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის - სოციალური მუშაობა (მეორე ნაწილი) კურსდამთავრებული:** *ა) ცოდნა და გაცნობიერება* – სიღრმისეულად განმარტავს სოციალური მუშაობის მეცნიერულ საფუძვლებს, მეთოდებსა და მიდგომებს; – სისტემურად იაზრებს სოციალურ პრობლემებს/მოვლენებს თვისებრივი და რაოდენობრივი სოციალური კვლევის მეთოდების კონსოლიდაციით;

	გ) უნარები - კრიტიკულად აფასებს სოციალურ, პოლიტიკურ კონტექსტს/პროგრამებს და ირჩევს შესაბამის ჩარევას; *გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა* - ხელს უწყობს სოციალური მუშაობის განვითარებას ახალ სფეროებში, ადამიანთა ხარისხიანი ცხოვრების ხელშემწყობი ფაქტორების გაძლიერებისა და ხელშემშლელი ფაქტორების შემცირების მიზნით. - ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით ხელმძღვანელობს სოციალური მუშაობის პრაქტიკის პროფესიულ ზედამხედველობას/სუპერვიზიას.
სწავლება-სწავლის მეთოდები	**შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი მეთოდები:** - ვერბალური/ზეპირსიტყვიერი მეთოდი; - წიგნზე მუშაობის მეთოდი; - წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება, და ა.შ.; - პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ. - დისკუსია, დებატები; - ჯგუფური მუშაობა; - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; - შემთხვევის ანალიზი; - გონებრივი იერიში; - როლური და სიტუაციური თამაშები; - ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;

	– ელექტრონული სწავლება; – სილაბუსებით გამოყენებული სხვა მეთოდები.
შეფასების სისტემა	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში (პირველი ნაწილი)** სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. *შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.* *დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.* **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: – **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა; – **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; – **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; – **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; – **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: – **(FX)ვერ ჩააბარა**–მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; – **(F) ჩაიჭრა**–მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ

	ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში (მეორე ნაწილი)** სტუდენტი პირველ სემესტრში ეუფლება კვლევითი კომპენენციის ჩამაღრმავებელ სასწავლო კურსებს (იხ. სასწავლო კურსების შეფასების სქემა, პროგრამის პირველი ნაწილის შეფასების სისტემის რუბრიკაში), რის საფუძველზეც დამასრულებელ სემესტრში გეგმავს და ამზადებს კვლევით

	კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს, რომლის მომზადებისა და დაცვის წესი დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასება**[1] სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით 100 ქულიანი სისტემით: - **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა; - **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; - **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; - **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; - **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:** ა) აქტუალობა - 5 ქულა ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი -20 ქულა დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე-10 ქულა ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა *შენიშვნა: რეცენზენტი რეკომენდაციის გაცემისას ხელმძღვანელობს ზემოთ მოცემული კრიტერიუმებით, გარდა ვ) პუნქტისა.*

[1]მეტი ინფორმაციისთვის იხ. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი https://cutt.ly/hOMKfHz

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასაქმების სფეროები	სოციალური მუშაობის მაგისტრატურის კურსდამთავრებული კონკურენტუნარიანია როგორც აკადემიურ/სამეცნიერო სფეროში, ისე პრაქტიკული საქმიანობის, სოციალური პოლიტიკის, სოციალური პროგრამების მართვის, კვლევითი საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით. რაც შეეხება პრაქტიკას, სოციალური მუშაობის მაგისტრს შეუძლია დაიკავოს როგორც პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის, ასევე მენეჯერული პოზიციები იმ სახელმწიფო თუ კერძო სააგანტოებში (საგანმანათლებლო პროგრამის პირველ და მეორე ნაწილს შორის დეტალური გამიჯვნა იხ. ქვევით), სადაც სოციალური მუშაობის მომსახურება ხორციელდება (ბავშვთა კეთილდღეობა, საგანმანათლებლო სფერო, მართლმსაჯულების სფერო, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფერო; ასევე მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა, დამოკიდებულების მქონე პირთა, აივ/შიდსით ინფიცირებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის საკითხებზე). იმ პირობებში, როდესაც პრაქტიკული სოციალური მუშაობა გახდა რეგულირებადი და სოციალური მუშაობის განვითარება იგეგმება არა მხოლოდ ცენტრალურ (როგორც 2018 წლამდე იყო), არამედ მუნიციპალურ დონეზეც, მოთხოვნა სოციალური მუშაკებზე სულ უფრო იზრდება, რაც, ცხადია, აფართოებს სოციალურ მუშაკთა დასაქმების არეალს. სოციალური მუშაობა, სხვა მხარდამჭერ პროფესიებთან შედარებით ახალი პროფესიაა საქართველოში და სრულიად რეალისტურია მისი განვითარება ახალ სფეროებში. ამაში კი კურსდამთავრებულთა როლი დიდია. **სოციალური მუშაობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (პირველი ნაწილი) კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს დასაქმდეს:** - სოციალური მუშაობის მომსახურების მიმწოდებელ სფერობში პრაქტიკული საქმიანობის განხხორციელებისათვის ნებისმიერ სამიზნე ჯგუფთან;

	- მიკრო მენეჯერული პოზიციები იმ სახელმწიფო თუ კერძო სააგანტოებში, სადაც სოციალური მუშაობის მომსახურება ხორციელდება. **სოციალური მუშაობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მეორე ნაწილი) კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს დამატებით დასაქმდეს:** - სოციალური პოლიტიკის, სოციალური პროგრამების მართვის, კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის ნებისმიერ სოციალური სფეროში; - მაკრო მენეჯერული პოზიციები იმ სახელმწიფო თუ კერძო სააგანტოებში, სადაც სოციალური მუშაობის მომსახურება ხორციელდება.
სწავლის გაგრძელების პერსპექტივა	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებული უფლებამოსილია,** სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე დარგის მაგისტრატურის პროგრამის II ნაწილზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის, მეორე ნაწილის კურსდამთავრებული უფლებამოსილია,** სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე სპეციალობის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევრის მომზადებაზე.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	- საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; - სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.
პროგრამის განხორციელებისათვის	პროგრამის განხორციელებაში უმეტესწილად მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის,

საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	სოციალური მუშაობის პრორგამის და ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულების, აკადემიური და ასევე მოწვეული პერსონალი. **პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი:** პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ თსუ სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებას ემსახურება სარესურსო ცენტრი, რომელიც მოიცავს: - ექვს გარემონტებულ ოთახს (ფართი დაახლოებით 140კვ.მ) - ბიბლიოთეკას, დაახლოებით, 1400 წიგნით სოციალური მეცნიერებების სფეროში - 22 პერსონალურ კომპიუტერს - ინტერნეტ მომსახურებას - 5 პრინტერს - ქსეროკოპირების მანქანას - 2 პროექტორს - ფაქსს, სკანერს და ა.შ. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** - თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; - თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); - თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; - თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ

	ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; - ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	სამაგისტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. - სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; - სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin”-ის გამოყენებით. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის

	სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	**დამატებითი ინფორმაცია:** პროგრამა ამ ეტაპზე მიიღებს 10 სტუდენტს. სტუდენტებს პროგრამა სთავაზობს კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებულ (თემატურად დაჯგუფებულ) სწავლებას. მათ შეუძლიათ პრაქტიკული სწავლების პროფილურ კომპონენტთან ერთად შეარჩიონ მინიმუმ ორი არჩევითი კურსი (ე.ი. ორი თეორიული და ერთი პრაქტიკული კურსი, რაც მათ კონკრეტული სფეროსათვის ამზადებს) ოთხი სხვადასხვა სპეციალიზაციით: - სოციალური მუშაობა ბავშვთა ზრუნვის სფეროში - სოციალური მუშაობა მართლმსაჯულების სფეროში - სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში - სოციალური მუშაობა საგანმანათლებლო სისტემაში. ამასთან პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სპეციალობაში სამუშაო მეთოდების შერჩევის საშუალებასაც სოციალური მუშაობის სამ დონეზე: **პროგრამის პირველ ნაწილში:** მიკრო (უშუალო პრაქტიკის განხორციელებით დაინტერესებული სტუდენტებისათვის), მეზო (ორგანიზაციული/მომსახურებების ადმინისტრირებით დაინტერესებულთათვის) პროგრამის ამ ნაწილში, მათ შეუძლიათ სფეროების მიხედვით ბლოკირებული თემატური კურსების პროფესიული პრაქტიკის სასურველ დონესთან კომბინირება. **პროგრამის მეორე ნაწილში:** მეზო და მაკრო (პოლიტიკის დონეზე მუშაობით დაინტერესებულთათვის).

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების

მიმართულება: სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სოციალური მუშაობა

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

კრედიტების რაოდენობა: 120 (60+60 ECTS)

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: ნინო შატბერაშვილი, ასოცირებული პროფესორი.

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 22.06.2026 44/2026

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

პირველი ნაწილი

სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 კრედიტი (ECTS) *										
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/	მუალედური და			I	II	
1	სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა	5	15	15	3	92	წინაპირობის გარეშე	✔		ნინო ნუცუბიძე
2	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში	5	15	15	3	92	წინაპირობის გარეშე	✔		თამარ მახარაძე
3	სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა: სოციალური მუშაობის პერსპექტივა	5	15	15	4	91	სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა		✔	ნინო შატბერაშვილი
4	სოციალური მუშაობის პრაქტიკა I	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✔		ნათელა ფარცხალაძე

5	სოციალური მუშაობის პრაქტიკა II[2]	5	15	15	4	91	სოციალური მუშაობის პრაქტიკა I		✔	მაგული შაღაშვილი
6	სოციალური ადვოკატობა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		✔	ნინო შატბერაშვილი
საბაზისო არჩევითი სასწავლო კურსები - 25 კრედიტი (ECTS)										
თემატური დაჯგუფება I სოციალური მუშაობა ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის და მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის სფეროში										
1	სოციალური მუშაობა და ბავშვთა კეთილდღეობა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✔		სალომე ნამიჭეიშვილი
2	ბავშვის განვითარება და მშობლებთან მუშაობა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		✔	ნინო შატბერაშვიილ გურანდა თეთრაძე
თემატური დაჯგუფება II სოციალური მუშაობა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან										
3	სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებ ის სისტემაში	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✔		სალომე ნამიჭეიშვილი
4	სოციალური მუშაობა და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულებ ა: თეორიული და პრაქტიკული	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		✔	თინათინ ცერცვაძე

[2] კურსი შეეთავაზებათ სტუდენტებს მათი კონკრეტული სფეროსადმი ინტერესის შესაბამისად

	ასპექტება									
თემატური დაჯგუფება III სოციალური მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში										
5	სოციალური მუშაობა საგანმანათლებლ ო სისტემაში	5	15	15	3	92	წინაპირობის გარეშე	✔		ნინო შატბერაშვილი
6	სოციალური მუშაობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებთან	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		✔	ქეთევან გიგინეიშვილი
თემატური დაჯგუფება IV სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში										
7	სოციალური მუშაობა ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებთან	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✔	ზურაბ ტატანაშვილი
8	ჯანმრთელობა და ქცევის ცვლილების თეორიები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✔		ზურაბ ტატანაშვილი
სხვა კურსები										
9	ხანდაზმულებთან სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✔	ნათელა ფარცხალაძე
თავისუფალი 5 კრედიტი (ECTS)										

პროგრამის სტრუქტურა II ნაწილი

სავალდებულო კურსები - 50 კრედიტი (ECTS) *										
სავალდებულო სასწავლო კურსები: 20 ECTS სამაგისტრო ნაშრომი: 30 ECTS										
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
								I	II	
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი	შუალედური და დასკვნითი გამოცდები					
1	სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✔		თამარ მახარაძე
2	სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✔		მარინა ბურძენიძე
3	სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✔		ნინო შატბერაშვილი

4	სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✔		ვანო კეჭაყმაძე
5	სამაგისტრო ნაშრომი	30					ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი		✔	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი
საბაზისო არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი (ECTS)**										
მეზო და მაკრო პრაქტიკა										
1	სოციალური მომსახურების ხარისხი	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✔		თენგიზ ვერულავა ნინო შატბერაშვილი
2	კეთილდღეობის სისტემის რეაგირება სოციალურ საჭიროებებზე (ინგლისურენოვანი)	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✔		ნინო შატბერაშვილი ნათელა ფარცხალაძე
3	სოციალური მუშაობის პრაქტიკა და სოციალური პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✔		მაგული შაღაშვილი
სხვა კურსები										
4	კვლევითი პროექტი	5	15	15	3	92	წინაპირობის გარეშე	✔		თამარ მახარაძე
5	საერთაშორისო სოციალური მუშაობა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✔		ნინო შატბერაშვილი

თავისუფალი 5 კრედიტი (ECTS)

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი